



ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობა ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება

განყოფილების უფროსი: სოფიო ხაბაზი

ტელ: 599 85 12 21

ელ. ფოსტა: sofio.khabazi@gmail.com

დაუყოვნებლივ გასაგრცელებლად!

ა ნ ო ნ ს ი

სახალხო დღესასწაული „შემოდგომა ქედაში -2018“ მრავალფეროვანი პროგრამით გაიმართება

სახალხო დღესასწაული „შემოდგომა ქედაში, 2018 წლის 30 სექტემბერს, 11 საათიდან დაიწყება. ღონისძიებას დაესწრებიან მოწვეული სტუმრები, ადგილობრივები, ტურისტები, აჭარის არ მთავრობისა და საზოგადოების სხვა წევრები.

მრავალფეროვანი პროგრამა გაიხსნება უკრაინის ქალაქ კრემენეცთან დამეგობრების მემორანდუმის გაფორმებით (მახუნცეთი, თამარის ხიდის მიმდებარე ტერიტორია).

ღონისძიების ერთგვარი სიახლეებია: ევროპის წელთან დაკავშირებით მოწყობილი აგრო-ბაზრობის გამოფენა-გაყიდვა, „სთრით არტი“, ქედელი გმირის ინსცენირება ფილმიდან „მევლუდა“, უკრაინის დელეგაციის ვიზიტი და ანსამბლი „ლიუბისტოკი“, პეტიციის საფუძველზე ქედის ცენტრალური პარკისთვის რუსთაველის პრემიის ლაურეატის, პოეტის ფრიდონ ხალვაშის სახელის მინიჭება, ზაზა ხალვაშის ფილმის „ნამე“-ს წარმატებები და ა.შ.

დაგეგმილია ასევე, სპორტული აქტივობები, საბავშვო გასართობი პროგრამები, აჭარული კერძების მომზადების ინსცენირებები, სამუზეუმო ექსპონანტების, კულინარიული, ფოლკლორული, ეთნოგრაფიული და რეწვის ნიმუშების გამოფენები. გაიმართება „საპატიო ქედელები“ -ს და „დამსახურებული მოღვაწეების“ დაჯილდოების ცერემონია.

ღონისძიებას დახურავს გალა-კონცერტი, რომელიც ორ ნაწილად გაიმართება - ფოლკლორულ და საესტრადო. დღის ბოლოს გაიმართება რთველი და ღვინის დაწურვის ცერემონია.

სახალხო დღესასწაულის ღონისძიების ორგანიზატორია ქედის მუნიციპალიტეტის მერია. თანაორგანიზატორები გახლავთ: არასამთავრობო ორგანიზაციები - „სენი“ „დემოკრატიის ინსტიტუტი“ და ქედის ღვინის საწარმო KTW.

ბიუჯეტი: 14 298 ლარი. ღონისძიებას მოესახურება ტენდერში გამარჯვებული ფირმა „ჯიჯი 13“

ანოტაცია

„სასოფლო-სამეურნეო გამოფენები“ - ასე ერქვა დაბაში ჩატარებულ პირველ ზეიმს. მალე, სოფლის მეურნეობის პროდუქტების გამოფენასა და ხართა შერკინებას, სპორტული ღონისძიებები და „საპატიო ქედელის“ წოდების დაწესება დაემატა. თუმცა, მეორე მსოფლიო ომის დროს და შემდგომ წლებში ზეიმი აღარ გამართულა.

1975 წელს ღონისძიება აღდგა სახელწოდებით „შრომის ზეიმი“, რომელსაც ფოლკლორული და ეთნოგრაფიული ნიმუშების გამოფენა დაემატა. 1978 წლიდან კი შეუერთდა ქორწილების - მათ შორის ოქროსა და ვერცხლის ქორწინების გადახდა და ამ ფორმით 1989 წლამდე გრძელდებოდა.

ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების გამო დღესასწაული 1996 წლამდე არ გამართულა. 1996 – 2003 წლებში კი ღონისძიებას „შემოდგომა ქედაში“ ეწოდა. ამავე სახელწოდებით 2006 წლიდან კვლავ განახლდა და მას შემდეგ ყოველ შემოდგომას იმართება.

